

შპს „გოგე და კომპანია“-ს ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

შპს „გოგე და კომპანია“-ს სრული შემოსავლის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

		2024	2023
ამონაგები	შენ.#1	12 453 632	6 745 983
რეალიზებული პროდუქციის			
თვითღირებულება	შენ.#2	(8 409 812)	(4 781 592)
საერთო მოგება		4 043 820	1 964 391
ადმინისტრაციული ხარჯები	შენ.#4	(676 235)	(518 371)
ძირითადი ხარჯები	შენ.#5	(1 362 362)	(581 610)
საოპერაციო მოგება		2 005 223	864 410
არასაოპერაციო შემოსავლები		17 177	10 140
არასაოპერაციო ხარჯები	შენ.#7	(387 345)	(256 246)
მოგება დაბეგვრამდე		1 635 055	618 304
მოგების გადასახადის ხარჯი		(66 093)	(40 774)
მიმდინარე წლის მოგება		1 568 962	577 530
გაუნაწილებელი მოგება წლის		989 006	683 302
დასაწყისში			
დივიდენდები		(374 526)	(271 826)
გაუნაწილებელი მოგება წლის			
ბოლოს	შენ.#9	2 183 442	989 006

შპს „გოგე და კომპანია“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

1		2024	2023
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	შენ.#10	256 140	481 451
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	შენ.#11	589 437	302 942
სასაქონლო მატერიალური ფასეულობა	შენ.#12	5 096 132	2 827 199
სხვა მიმდინარე აქტივები		793 860	355 220
		6 735 569	3 966 812
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		4 182 158	2 856 715
არამატერიალური აქტივები		13 067	10 888
სულ გრძელვადიანი აქტივები	შენ.#13	4 195 225	2 867 603
სულ აქტივები		10 930 794	6 834 415
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	შენ.#14	1 903 667	2 185 416
შრომის ანაზღაურება		34 392	14 821
საგადასახადო ვალდებულება	შენ.#15	109 317	93 656
საპენსიო ფონდი		7 323	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		22 518	-
		2 077 217	2 293 893
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	შენ. #16	5 458 561	3 551 516
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5 458 561	3 551 516
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი		269 401	-
რეზერვები		942 173	-
გაუნაწილებელი მოგება	შენ.#17	2 183 442	989 006
სულ საკუთარი კაპიტალი		3 395 016	989 006
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		10 930 794	6 834 415

შპს „გოგე და კომპანია“-ს ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები	14 231 353	7 344 233
გაწეული ხარჯები სულ	(14 482 762)	(7 448 615)
ნეტო ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(251 409)	(104 382)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	970 253	(412 918)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(944 155)	681 287
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა შემც.	(225 311)	163 987
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო		
პერიოდის დასაწყისისათვის	481 451	317 464
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო		
პერიოდის ბოლოსათვის	შენ. #18 256 140	481 451

შპს „გოგე და კომპანია“-ში ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის .

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „გოგე და კომპანია“ (ს/ნ 412733957) დაფუძნებულია 2018 წელს საქართველოში, ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა ელექტრონული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით და რკინა კაველით, საღებავებით, მინით სპეციალიზებულ მაღაზიებში. დარეგისტრირებულია იურიდიულ მისამართზე ქ.ქუთაისი ლ. ავალიანის ქ.12. კომპანიის დამფუძნებელია:

- გიორგი გოგელიძე (პ/ნ-62005003798) - საქართველოს მოქალაქე

კომპანია ბუღალტრული აღრიცხვისათვის იყენებს ბუღალტრულ პროგრამას „ორისი“. გაყიდვებისათვის იყენებს პროგრამას FMG.კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობა შეადგენს 51 კაცს.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების (მსს ფასს სტანდარტი) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

3. საანგარიშგებოვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი. ყველა ოპერაციები ნაწარმოებებია ქართულ ლარში. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

4. სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამება მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად დადგენილ პრინციპებს და ნორმებს. სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

4.1 ამონაგების აღიარება

4.1.1 ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი მოიცავს გაცემულ საქონელზე კონკრეტულ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებული თანხა. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა: (ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს; (ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს; (გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება; (დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და (ე) შესაძლებელია მოცემულ

ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება .

კომპანია საქონლის რეალიზაციას ახორციელებს დარიცხვის მეთოდით, რომელიც იყოფა კომპონენტების მიხედვით, ესენია:

- რეალიზაცია - ფიზიკური პირების მიერ შეძენილ საქონელზე საკასო (ჩეკის ამორტყმით)
- რეალიზაცია - საწარმოების (იურიდიული პირები) მიერ შეძენილ საქონელზე ზედნადებების მიხედვით
- რეალიზაცია - ფიზიკური პირების მიერ შეძენილ საქონელზე ბარათებით (ტერმინალებით) გადახდა
- რეალიზაცია - ფიზიკური პირების მიერ შეძენილ საქონელზე ნისიად (შემდგომი გადახდით)
- რეალიზაცია - ფიზიკური პირების მიერ განვადებით
- რეალიზაცია - ფიზიკური პირების მიერ საბანკო ანგარიშებზე ჩარიცხვით

4.1.2 კომპანია სწრაფი რეალიზაციისათვის იყენებს ფასდათმობის ელემენტებს, მომხმარებლების (ფიზიკური და იურიდიული პირები) ნებისმიერ ჯგუფში განაწილებას ახორციელებს თავად კომპანია, რომელიც თავისი სტრატეგიული მიზნებისათვის აკუთვნებს კომპანიებს ამა თუ იმ ჯგუფს, კერძოდ:

1. პირველი ჯგუფის მომხმარებლები არიან სტანდარტული ჯგუფის, ანუ ამ ჯგუფზე ფასდათმობა არ ვრცელდება
2. მეორე ჯგუფის მომხმარებლებს მიეცემათ ფასდათმობა საბითუმო ფასნამატის 50%-ის ოდენობით.
3. მესამე ჯგუფის მომხმარებლებს მიეცემათ ფასდათმობა საბითუმო ფასნამატის 60%-ის ოდენობით.
4. მეოთხე ჯგუფის მომხმარებლებს მიეცემათ ფასდათმობა საბითუმო ფასნამატის 70%-ის ოდენობით. (ამჟამად არ ფუნქციონირებს)
5. მეხუთე ჯგუფის მომხმარებლებს მიეცემათ ფასდათმობა ფასნამატის 10%-ის ოდენობით.
6. მეექვსე ჯგუფის მომხმარებლებს მიეცემათ ფასდათმობა ფასნამატის 15%-ის ოდენობით.
7. მეშვიდე ჯგუფის მომხმარებლებს მიეცემათ ფასდათმობა ფასნამატის 20%-ის ოდენობით.

გარდა ზემოთ აღნიშნული ფასდათმობებისა კომპანია ასევე იყენებს აქციების გამოცხადებას ამა თუ იმ საქონლის ჯგუფზე, რომელიც ფორმდება ბრძანებით და გამოიკვრება თვალსაჩინო ადგილზე, რათა მომხმარებლებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება. ფასდათმობების ყველა ამ მეთოდების გამოყენება აუცილებელია, რათა გავუძლოთ მომატებულ მძლავრ კონკურენციას.

4.2 ფულადი სახსრები

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია სალაროსა და საბანკო დაწესებულებაში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.

4.3 მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს

თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

4.4 სავაჭრო მოთხოვნები.

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

4.5 ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია შეძენის ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის და გაუფასურების ზარალის თანხით. ცვეთის თანხა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია ინდივიდუალურად და იგი მერყეობს 8-დან 12 წლამდე. სააღრიცხვო ჯგუფების მიხედვით ცვეთის ნორმა შეადგენს:

1. სარტანსპორტო საშუალებები 10-12
2. კომპიუტერული ტექნიკა 10
3. მანქანა დანადგარები და ოფისის აღჭურვილობა 8-10 წელი
4. ავეჯი და სხვა 8-10 წელი

4.6 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 10-15 პროცენტი.

4.7 სავაჭრო ვალდებულებები:

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან სარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

4.8 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის.

ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში

4.9 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში). საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოებისარადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

4.10 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს,უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

5. საქმიანობის შედეგები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

5.1. ნეტო ამონაგები

#	დასახელება	2024	2023
1	პროდუქციის გაყიდვა	12 453 632	6 745 983
	სულ ამონაგები:	12 453 632	6 745 983

პროდუქციის გაყიდვა მოიცავს მხოლოდ ძირითადი საქონლის რეალიზაციიდან ამონაგებს, რომელიც შეადგენს 12453632 ლარს.სულ 2024 წლის ძირითადმა ამონაგებმა შეადგინა 12453632 ლარი.(შენიშვნა #1)

#	დასახელება	2024	2023
1	საწყისი პროდუქციის მარაგები	2 827 199	727 041
2	მარაგების შესყიდვა	10 678 745	6 881 750
3	გადამუშავების დანახარჯი	8 409 812	4 781 592
	საბოლოო მარაგები	5 096 132	2 827 199

საწყისი მარაგები 2827199 ლარი მოიცავს ძირითადი სარეალიზაციო საქონლის ნაშთს 2819988 ლარი და სხვა სასაქონლო მარაგები 7211 ლარს, შესყიდული მარაგები ძირითად საქონელზე არის 10674004 ლარი, ხოლო სხვა სასაქონლო მარაგებზე 4741 ლარი, გადამუშავების დანახარჯი, ანუ თვითღირებულება ძირითად პროდუქციაზე არის 8409812 ლარი, სხვა სასაქონლო მარაგებზე 0 ლარი და საბოლოოდ წლის ბოლოსთვის საქონლის მარაგების ნაშთმა შეადგინა 5084180 ლარი, სხვა სასაქონლო მარაგებზე ნაშთმა კი 11952 ლარი, სულ 5096132 ლარი (შენიშვნა #2)

#	დასახელება	2024	2023
1	სულ ამონაგები	12 453 632	6 745 983
2	პროდუქციის თვითღირებულება	(8 409 812)	(4 781 592)
	საერთო მოგება	4 043 820	1 964 391

სულ ამონაგებმა შეადგინა 12453632 ლარი. პროდუქციის თვითღირებულებამ 8409812 ლარი, ხოლო საერთო მოგებამ შესაბამისად შეადგინა 4043820 ლარი. (შენიშვნა #3)

#	დასახელება	2024	2023
1	დასაქმებულთა ანაზღაურება	261 468	222 261
2	საპენსიო დანარიცხი	4 595	4 239
3	საკომუნიკაციო	857	1236
4	მომსახურება სხვადასხვა	29 564	-
5	კომუნალური	84 265	51 849
6	საგადასახადო ხარჯი (ქონება)	34 598	29 025
7	ცვეთა და ამორტიზაცია	1 320	1 918
8	საოფისე, საკანცელარიო	10 794	15 197
9	მივლინება	-	28 602
10	დაცვა	3 925	2 624
11	ბანკის მომსახურება, ტერმინალი	85 476	29 602
12	დაზღვევა	24 607	6 978
13	რემონტი	5 151	1 320
14	წარმომადგენლობითი	15 671	30 600
15	რეკლამა	47 387	25 226
16	საბაჟო	2 080	11 551
17	სამეურნეო	46 750	40 793
18	სხვა	17 727	15 350
	სულ ადმინისტრაციული ხარჯი	676 235	518 371

მთლიანმა ადმინისტრაციულმა ხარჯმა შესაბამისად შეადგინა 676265 ლარი. (შენიშვნა #4)

#	დასახელება	2024	2023
1	დასაქმებულთა ანაზღაურება	1 041 174	469 905
2	საპენსიო დანარიცხი	18 297	7 404
3	ტრანსპორტირება	5 391	3 403
4	საიჯარო ქირა	63 768	23 375
5	ცვეთა და ამორტიზაცია	132 969	65 991
6	რემონტი	82 806	-
7	სხვა საწარმო ხარჯები	17 957	11 592
	სულ საოპერაციო ხარჯი	1 362 362	581 610

ამრიგად მთლიანმა ძირითადმა დანახარჯმა ჯამში შეადგინა 1362362 ლარი.(შენიშვნა #5)

#	დასახელება	2024	2023
1	სესხის აფასებიდან შემოსავალი	16 661	1 936
2	სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	516	8 204
	მთლიანი არასაოპერაციო შემოსავალი	17 177	10 140

მთლიანმა არასაოპერაციო შემოსავლებმა 2024 წლისათვის შეადგინა 17177 ლარი.(შენიშვნა. #6)

#	დასახელება	2024	2023
1	საპროცენტო	377 395	242 316
2	სესხის გადაფასების	9 243	8 442
3	საკურსო	707	1 212
4	სხვა არასაოპერაციო ხარჯი	-	4 276
	მთლიანი არასაოპერაციო ხარჯი	387 345	256 246

მთლიანმა არასაოპერაციო ხარჯებმა 2024 წლისათვის შეადგინა 387345 ლარი. (შენიშვნა #7)

#	დასახელება	2024	2023
1	მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	1 635 055	618 304
2	მოგების გადასახადი	(66 093)	(40 774)
3	მოგება/(ზარალი)	1 568 962	577 530
	მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)	1 568 962	577 530

მთლიანი შემოსავლების და დანახარჯების შეპირისპირებისას მიღებული იქნა მოგება 1635055 ლარი, რომელსაც გააკლდება მოგების გადასახადის ხარჯი 66093 ლარი და დარჩება წმინდა მოგების სახით 1568962 ლარი, რომელიც საბოლოო ჯამში გადატანილი იქნა 2024 წლის გაუნაწილებელ მოგებაში. (შენიშვნა #8)

#	დასახელება	2024	2023
1	საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი	989 006	683 302
2	სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	1 568 962	577 530
3	კაპიტალის სხვა ცვლილებები	(374 526)	(271 827)
4	კაპიტალი დროებითი	269 401	-
5	რეზერვები	942 173	-
	საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს	3 395 016	989 006

საკუთარი კაპიტალი წლის დასაწყისში იყო 989006 ლარი, გაიზარდა მოგების ხარჯზე 1568961 ლარით, შემცირდა დივიდენდების გაცემის ხარჯზე 374526 ლარით, გაიზარდა დამატებითი კაპიტალის ხარჯზე 269401 ლარით, გაიზარდა ძირითადი ქონების აფასების რეზერვის ხარჯზე 942173 ლარით და 2024 წლის ბოლოსათვის შეადგინა 3395016 ლარი.(შენიშვნა #9)

5.2 ფინანსური მდგომარეობა 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

#	დასახელება	2024	2023
1	ფული სალაროში ლარში	31 880	20 748
2	ფული საბანკო ანგარიშებზე რეზიდენტ ბანკებში ლარში	102 732	119 505
3	ფული საბანკო ანგარიშებზე რეზიდენტ ბანკებში უცხოურ ვალუტაში	121 528	341 198
	სულ ფულადი საშუალებები და მათი ექვივალენტები	256 140	481 451

ფული და ფულის ელვივალენტები კომპანიაში განთავსებულია საბანკო დაწესებულებებში, სალარო მეურნეობაში და ფული გზაში. კომპანიას გახსნილი აქვს საბანკო ანგარიშები, როგორც ეროვნულ ვალუტაში ისე უცხოურ ვალუტაში. 2024 წელს ხორციელდებოდა საბანკო ტრანზაქციები ორივე ვალუტაში მუდმივად. წლის დასაწყისში ნაშთი ფული და ფულის ექვივალენტებზე იყო 481451 ლარი, წლის განმავლობაში ცვლილების შედეგად ნაშთმა წლის ბოლოსთვის შეადგინა 256140 ლარი.(შენიშვნა #10)

სავაჭრო მოთხოვნები 2024 წლის დასაწყისისთვის იყო 302942 ლარი, მათ შორის საექვო მოთხოვნები 62028 ლარი, წლის განმავლობაში დაერიცხა მოთხოვნები 14705901 ლარის, ჩაირიცხა ძირითადი მოთხოვნების დასაფარავად 14419406 ლარი და დარჩა მისაღები 589437 ლარი, მათ შორის საექვო მოთხოვნები 62028 ლარი, აღსანიშნავია, რომ გასულ წლებში განხორციელდა საექვო მოთხოვნებზე ანარიცხების შექმნა და კორექტირების შეტანა აღარ გახდა საჭირო.(შენიშვნა #11)

მარაგები კომპანიაში მოიცავს, როგორც ძირითადად გასაყიდად შეძენილ საქონელს, ასევე სხვა დამხმარე მასალებს. 2024 წლის დასაწყისისათვის ნაშთი შეადგენდა 2827199 ლარს, მათ შორის დამხმარე მასალები 7212 ლარი. წლის განმავლობაში შემოვიდა სულ 12194743 ლარის საქონელი, წლის განმავლობაში მთლიანად გავიდა 9925810 ლარის საქონელი და ნაშთმა წლის ბოლოსათვის შეადგინა 5096132 ლარი, საიდანაც საქონლის ნაშთია 5084180 ლარი, ხოლო სხვა სასაქონლო მარაგების ნაშთია 11952 ლარი(შენიშვნა #12)

დასახელება	მიწა	დაუმთმ შენებ	შენობა	მანქ.და ნა	ოფის.აღჭ	ავეჯი	სატრან სკ	არამატ ერ	სულ
ნაშთი 31.12.2023	458 600	471 765	1 495 365	32 289	202 712	168 175	27 809	10 888	2 867 603
შემოსვლა	51 680		741 937	1 208	50 638	95 853	52 040	3 499	996 855
გასვლა	-	(471 765)							(471 765)
ცვეთა	-		(31 501)	(3 635)	(43 006)	(42 114)	(12 713)	(1 320)	(134 289)
აფასება			942 173						942 173
კორექტირ ება			(5 352)						(5 352)
ნაშთი 31.12.2024	510 280	0	3 142 622	29 862	210 344	221 914	67 136	13 067	4 195 225

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია მიწით, დაუმთავრებელი მშენებლობით, მანქანა დანადგარებით, ოფისის აღჭურვილობით, ავეჯით და სატრანსპორტო საშუალებით. არამატერიალურ აქტივებში აღრიცხულია გაყიდვების სამუშაო პროგრამა და ბუღალტრული პროგრამა ორისი. სულ

ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ნაშთი წლის დასაწყისისთვის იყო 2867603 ლარი, წლის განმავლობაში შემოსულია 996855 ლარის ძირითადი საშუალება, ჩამოიწერა დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულება 471765 ლარი, ცვეთამ ჯამურად შეადგინა 134289 ლარი, აფასდა გრძელვადიანი აქტივები 942173 ლარი, დაკორექტირდა ცვეთა 5352 ლარი და 2024 წლის ბოლოსათვის ნაშთმა გრძელვადიან აქტივებზე შეადგინა 4195225 ლარი.(შენიშვნა #13)

სავაჭრო ვალდებულებები 2024 წლის დასაწყისში იყო 2185416 ლარი, წლის განმავლობაში სულ დაერიცხა 14420403 ლარი, გასტუმრებული იქნა 14702152 ლარი, ნაშთმა წლის ბოლოსათვის შეადგინა 1903667 ლარი.(შენიშვნა #14)

ვალდებულებები საგადასახადოს მიმართ 2024 წლის დასაწყისში იყო 93656 ლარი და წლის ბოლოსათვის დარჩა 109317 ლარი.(შენიშვნა #15)

საპენსიო ფონდის მიმართ 2024 წლის დასაწყისში დავალიანების ნაშთი არ იყო, ხოლო წლის ბოლოსათვის დავალიანებამ შეადგინა 7323 ლარი.

გრძელვადიანი ვალდებულებები წარმოდგენილი არის გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებით. 2024 წლის საწყისი ნაშთი იყო 3551516 ლარი, წლის ბოლოსათვის შეადგინა 5458561 ლარი. (შენიშვნა #16)

საკუთარი კატალი წლის დასაწყისში იყო 989006 ლარი, გაიზარდა მოგების ხარჯზე 1568962 ლარით, შემცირდა დივიდენდების გაცემის ხარჯზე 374526 ლარით, გაიზარდა დამატებითი კაპიტალის ხარჯზე 269401 ლარით, გაიზარდა ძირითადი ქონების აფასების რეზერვის ხარჯზე 942173 ლარით და 2024 წლის ბოლოსათვის შეადგინა 3395016 ლარი.(შენიშვნა #17)

5.3 ფულადი სახსრების მოძრაობა 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

#	დასახელება	2024	2023
1	წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(251 409)	(104 382)
2	წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	970 253	(412 918)
3	წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(944 155)	681 287
2	წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(225 311)	163 987
3	ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	481 451	317 464
4	ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	256 140	481 451

ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში იყო 481451 ლარი. წლის განმავლობაში ჯამურად საოპერაციო საქმიანობიდან არის კლება 251409 ლარი, საინვესტიციო საქმიანობიდან მატება 970253 ლარი, ხოლო საფინანსო საქმიანობიდან არის კლება 944253 ლარი, შედეგად წმინდა კლება ფულსა და ფულის ეკვივალენტებში შეადგენს 225311 ლარს. ფულის და ფულის ეკვივალენტებმა წლის ბოლოსათვის შეადგინა 256140 ლარი.(შენიშვნა #18)

დირექტორი:

გიორგი გოგელიძე